შემოსავლების
სამსახური

გზამკვლევი

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის წარდგენა

ურთიერთობა მარტივია

ვის წარმოეშობა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულება?

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულება წარმოეშობა საგადასახადო აგენტს საანგარიშო თვეში **განაცემების განხორციელებისა და გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების** შემთხვევაში.

ვინ შეიძლება იყოს საგადასახადო აგენტი?

საგადასახადო აგენტი, ვისაც ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება, შეიძლება იყოს **იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი.**

რა შემთხვევაში ევალება პირს საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება?

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება საგადასახადო აგენტს წარმოეშობა შემდეგ შემთხვევებში:

- დაქირავებულისათვის ხელფასის (მათ შორის, სარგებლის) გადახდისას;

შენიშვნა: სარგებლის ღირებულებად ითვლება ქვემოთ მითითებული თანხა, რომელიც მცირდება დაქირავებულის მიერ ამ სარგებლის მიღებისას დამქირავებლისათვის გადახდილი თანხით:

- დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე (20%-ზე) დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით (20%-ით) გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა;
- დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდებისას ან კომპენსაციის გარეშე გადაცემისას – ასეთი საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი;
- დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას – საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება (შესაბამისი პერიოდის პროპორციულად);
- დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის ან მის კმაყოფაზე მყოფთათვის განათლების მისაღებად დახმარების გაწევისას (დაქირავებულის ვალდებულებათა შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომზადების პროგრამის ჩაუთვლელად) – დამქირავებლის მიერ განათლების მისაღებად გაწეული დახმარების ღირებულება;
- დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა;
- დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ვალის ან ვალდებულების პატიებისას – ვალის ან ვალდებულების თანხა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფულადი მოთხოვნის იძულებითი გადახდევინების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად გასაწევი ხარჯი აღემატება ფულადი მოთხოვნის თანხას;
- დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში ან საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა;
- სხვა შემთხვევაში – სარგებლის საბაზრო ფასი საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით.

ამასთან, დაქირავებულის მიერ დამქირავებლის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებით მიღებული სარგებელი იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, შემდეგი ოდენობით:

ავტომობილის ძრავის მოცულობა	საშემოსავლო გადასახადის ოდენობა (ლარში)
3500 სმ^3 - ზე მეტი	300
2500 სმ^3 - 3500 სმ^3	200
2500 სმ^3 - ზე ნაკლები	100
ჰიბრიდული ავტომობილის შემთხვევაში - ნებისმიერი ძრავის მოცულობა	60
ელექტროძრავიანი ავტომობილის შემთხვევაში	საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება

- ფიზიკური პირისაგან (გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ ან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, ნოტარიუსებისა, კერძო აღმასრულებლებისა, მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში) მიღებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას;
- ამხანაგობის წევრ ფიზიკურ პირზე (რომელიც არ არის დარეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმედ ან/და დღგ-ის გადამხდელად) შემოსავლის განაწილებისას;
- ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის დივიდენდის გადახდისას;
- ფიზიკური პირისთვის, ორგანიზაციისთვის პროცენტების გადახდისას;
- რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა) როიალტის გადახდისას;
- ფიზიკური პირისთვის, რომელიც ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული არ არის, საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების უსასყიდლოდ გადაცემისას;
- ფიზიკური პირისგან შეძენილი შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და ნარჩენების ღირებულების ანაზღაურებისას;
- სათამაშო აპარატების სალონის მომწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ორგანიზატორის მიერ მოთამაშეზე, მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან, თანხის გაცემისას;
- არარეზიდენტისთვის თანხების გადახდისას, თუ არარეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს, გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში, მათ შორის:

- დივიდენდი; პროცენტი; როიალტი; ხელფასი;
- ფიზიკური პირისთვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა;
- გადახდილი სხვა თანხები, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით ითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად;

- სხვა შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლით.

რა განაკვეთით იბეგრება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის სახეები?

- ფიზიკურ პირზე განაცემები, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა - 20%;
- საცხოვრებელი ფართის საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოყენების შედეგად ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხა - 5%;

შენიშვნა: საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით იურიდიულ პირზე გაქირავებით მიღებულ გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებულ შემოსავალზე საგადასახადო აგენტის მიერ გადახდის წყაროსთან 5 %-იანი განაკვეთით დაბეგვრა ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელი პირის მონაცემები შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტისთვის შეტანილია საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში.

- სათამაშო აპარატების მეშვეობით მოწყობილ აზარტულ ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირის თამაშობის მომწყობი პირისგან, მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან, გატანილი თანხა იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ ტოტალიზატორის თამაშობებში მონაწილეობის შედეგად მიღებული მოგება და სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა;

- ფიზიკური პირისგან შეძენილი შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და ნარჩენების ღირებულების ანაზღაურება - 3%;
- პროცენტები -5%;
- დივიდენდი -5%;
- რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა) გადახდილი როიალტი - 20%;
- მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ პირებზე გაცემული ანაზღაურება:

- როიალტი, პროცენტი-5%, იგივე თანხები გადახდილი შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის - 15%;
- დივიდენდი - 5%;
- ხელფასი - 20%;
- ფიზიკური პირისათვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა - 20%;
- გადახდილი სხვა თანხები, რომლებიც ამ კოდექსით ითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად – 10 %, იგივე თანხები გადახდილი შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის - 15%.

რა ვადაში ხდება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენა?

საგადასახადო აგენტი გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს **არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.** ამასთან, თუ აღნიშნული თარიღი არასამუშაო დღეს ემთხვევა, დეკლარაციის წარდგენის ბოლო ვადა გადაიწევს შემდეგი სამუშაო დღის დასრულებამდე.

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებისას რა ვადაში ხდება ბიუჯეტში გადასახადის გადახდა?

საგადასახადო აგენტი, რომელიც გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი **პირისთვის თანხის გადახდისთანავე,** ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით (მათ შორის, ნატურით) განხორციელების შემთხვევაში – **შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში.**

ამასთან, დაქირავებულის მიერ დამქირავებლის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებაზე საშემოსავლო გადასახადს საგადასახადო აგენტი (დამქირავებელი) იხდის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

რის საფუძველზე უნდა მოხდეს საგადასახადო აგენტის მიერ განხორციელებულ განაცემებზე საგადასახადო შეღავათის გამოყენება?

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებულმა პირმა საგადასახადო აგენტს უნდა წარუდგინოს საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა და შეღავათით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შეღავათების გავრცელებისას, დაქირავებულს უფლებას აძლევს საგადასახადო წლის მიხედვით ისარგებლოს კუთვნილი საგადასახადო შეღავათით მხოლოდ ერთი დამქირავებლიდან (საგადასახადო აგენტიდან) მიღებული ხელფასის მიხედვით.

ერთზე მეტი სამუშაო ადგილის შემთხვევაში, გადახდის წყაროს, სადაც უნდა გავრცელდეს კუთვნილი საგადასახადო შეღავათი, განსაზღვრავს დაქირავებული.

როგორ ხდება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის წარდგენა?

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება ელექტრონულად, გადასახადის გადამხდელის ელექტრონული პორტალიდან.

ელექტრონულ პორტალზე შესვლა, რეგისტრაცია და მომხმარებლის/პაროლის აღდგენა შესაძლებელია შემდეგი ბმულიდან:

https://eservices.rs.ge/Login.aspx?redirect_url=https://eservices.rs.ge/Login.aspx

რა მონაცემები აისახება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში?

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში აისახება მონაცემები საანგარიშო თვეში გაცემული თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ.



- **დეკლარაციის „ა“ დანართში** აისახება ინფორმაცია საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ: შემოსავლების მიმღებ პირთა კატეგორია, განაცემის სახე და ოდენობა, საგადასახადო შეღავათები, განაცემის თარიღი, წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის განაკვეთი და დაკავებული გადასახადი, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გათავისუფლებას ან შემცირებას დაქვემდებარებული გადასახადის თანხა, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ჩათვლას დაქვემდებარებული, უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადის თანხა (აღნიშნული ეხება შემთხვევას, როდესაც ერთსა და იმავე განაცემზე გადასახადის დაკავების უფლება წარმოექმნება როგორც ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ისე მეორე სახელმწიფოს და უცხო ქვეყანაში გადახდილი თანხა ექვემდებარება ჩათვლას).

  გადასახადის ჯამური ოდენობა „ა“ დანართის მიხედვით, „დ“ დანართის მონაცემებთან ერთად, მონაწილეობას ღებულობს დეკლარაციის ძირითადი ნაწილის 57-ე უჯრის გამოთვლაში (სულ ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული გადასახადების ჯამი შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით);

- **დეკლარაციის „დ“ დანართს** ავსებს საგადასახადო აგენტი (დამქირავებელი), რომლის საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში (მ.შ. ლიზინგით, იჯარით და ა.შ.) არსებული ავტომობილი (გარდა ელექტროძრავიანი ავტომობილებისა) გადაცემულია დაქირავებულისთვის სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში, რომელიც ავტომობილს სამსახურებრივი საჭიროებების გარდა, იყენებს პირადი სარგებლობისთვის.

- **დეკლარაციის „ე“ დანართში** აისახება საგადასახადო აგენტის მიერ მიღებული მომსახურებისთვის ფულადი ფორმით განხორციელებული ანაზღაურება (რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას გადახდის წყაროსთან), მისი ფაქტობრივად გაცემის საანგარიშო თვის მიხედვით.

გზამკვლევში წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია
2025 წლის 5 თებერვლისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

2 299 299

www.rs.ge